საიტის გამოყენების წესები

სასწავლო დაწესებულების რეგისტრაცია MyCourse-ზე და კურსის დამატება

1. დაარეგისტრირეთ თქვენი სასწავლო დაწესებულება
2. დაადასტურეთ ელექტრონული ფოსტის მისამართი
3. შედით თქვენს პროფილზე და დაამატეთ ინფორმაცია სასაწავლო დაწესებულების შესახებ. (პროფილი -> პროფილის რედაქტირება)
4. დაამატეთ ლოგო, გარეკანის სურათი და შეინახეთ ცვლილებები
5. გადადით კომპანიის გვერდზე და დაამატეთ ახალი კურსი
6. დაამატეთ კურსის შესახებ ინფორმაცია, ბანერი და შეინახეთ ცვლილებები

პლატფორმის გამოყენების წესები

1. კურსის დამატება შესაძლებელია არა უადრეს ორი თვისა კურსის რეგისტრაციის დასრულების თარიღამდე. მაგალითად, თუ კურსზე რეგისტრაციის ბოლო თარიღია 5 მაისი, კურსის განთავსენა შესაძლებელი იქნება არა უადრეს 5 მარტისა.
2. კურსი ავტომატურად წაიშლება ვებსაიტიდან რეგისტრაციის ბოლო თარიღის დასრულებისთანავე, ან თუ არ არის განსაზღვრული რეგისტრაციის ბოლო თარიღი (მაგალითად, თუ კურსზე მუდმივად ხდება სტუდენტების მიღება), კურსი წაიშლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.
3. რეგისტრაციის დასრულების თარიღი განისაზღვრება პლატფორმაზე კურსის დამატებისას და მომხმარებელს არ აქვს შემდგომში მისი შეცვლის შესაძლებლობა.
4. სასწავლო დაწესებულების პროფილი და მის შესახებ ინფორმაცია აქტიური დარჩება (არ დაიბლოკება ან წაიშლება) პლატფორმა MyCourse-ზე აქტიური კურსების რაოდენობის მიუხედავად. მომხმარებლებს ექნებათ თავისუფალი წვდომა სასწავლო დაწესებულების გვერდზე.
5. მთლიანი ინფორმაცია მოწმდება პლატფორმის ადმინისტრატორების მიერ და გამოქვეყნდება მხოლოდ მისი ვალიდაციის შემდეგ.
6. მომხმარებლებს შესაძლებლობა ეძლევათ განათავსონ ინფორმაცია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ამასთან, სავალდებულოა ინფორმაციის განთავსება ქართულ ენაზე.